ბრძანება:**ბ115. 115263173**
თარიღი:**13/11/2026**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი

პროგრამული ბიუჯეტის

პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 91-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „რეგლამენტის“ 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.დაიწყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა;

2.განსახილველ საკითხთა მიმართებაში საჯარო განხილვის წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. 2027 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართება 2026 წლის 19 ნოემბერს 14-00 საათზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე მომხსენებლად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (თ.ტაკიძე);

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (თ.მჟავანაძე) უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება შესაბამისად მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე **www.kobuleti.gov.ge**, საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში **www.facebook-qobuletis municipalitetis sakrebulo;**

5. დაინტერესებულმა მხარეებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები

წერილობით წარმოადგინონ 2026 წლის 19 ნოემბერს 12-00 საათამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარიაში. (მის:ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141, მეორე სართული, ტელ: 599 85 64 30);

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მამია ჟორდანია

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი